იურიდიული დახმარების სამსახური

მის: თამარ მეფის გამზ. №14, 0112
თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 26 „9" „სექტემბერი" 2015 წ.

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეებზე ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ

იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში (შემდგომში - რეესტრი) რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა (შემდგომში - ადვოკატი) სისხლის სამართლის საქმეებზე ანგარიშგების წესი (დანართი №1).
2. დამტკიცდეს რეესტრის ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეებზე ანგარიშგების ფორმა (დანართი №2).
3. ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული ანგარიშგების ფორმა, იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც მოცემულია დანართში №2, გავრცელდეს 1998 წლის 20 თებერვალს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზეც.
4. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2015 წლის პირველი ოქტომბრიდან.
5. ამ გადაწყვეტილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს იურიდიული დახმარების საბჭოს (შემდგომში – საბჭო) 2014 წლის 1 მაისის #5 და #6 გადაწყვეტილებები.
6. გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა განხორციელდეს საბჭოს გადაწყვეტილებით.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე ელზა ლეშკაშელი

საბჭოს წევრები

ნათია ჩირიკაშვილი

მარინა კვაჭაძე

ილია ჭანტურაია

ვალერი კვანტალიანი

კახაბერ სოფრომაძე